

CREDO PARTNER

ხშირად დასმული კითხვები და პასუხები (FAQ)

რა არის კრედო პარტნიორი?

კრედო პარტნიორი არის მობილური აპლიკაცია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დამატებითი შემოსავლის გამომუშავება.

როგორ მუშაობს და რა სარგებლის მოტანა შეუძლია კრედო პარტნიორს?

მომხარებელი, ჩამოტვირთავს აპლიკაციას და გაივლის უმარტივეს რეგისტრაციას, რომლის შემდეგაც მას შეუძლია შეავსოს სესხის განაცხადი სხვა მომხმარებლებისთვის ულიმიტო რაოდენობით და ყოველ დამტკიცებულ და გაცემულ სესხზე მიიღოს სარგებელი - 10 ლარი.

როგორ შეუძლია აგენტს გამომუშავებული ფულის განადგება?

თავდაპირველად მომხმარებელი უნდა გამოცხადდეს კრედო ბანკის [ნებისმიერ სერვისცენტრში](#), რათა მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას. (ფილიალში მისვლა საჭიროა ერთჯერადად) ამის შემდგომ აგენტს რეგულარულად ჩაერიცხება გამომუშავებული თანხა კრედო ბანკის ანგარიშზე, რომელსაც თავად მიუთითებს აპლიკაციაში. თანხის განკარგვას კი სურვილისამებრ შეძლებს.

რა არის და რა ვადაში შევძლებ სტანდარტული ბონუსის აღებას?

სტანდარტული ბონუსი არის 10 ლარი (დარიცხული) ყოველ დამტკიცებულ და გაცემულ სესხზე, რომელიც ყოველი თვის 15 რიცხვამდე ჩაერიცხება აგენტს კრედო ბანკის პირად ანგარიშზე.

მაქვს თუ არა პასუხისმგებლობა დამტკიცებული სესხის გადახდაზე?

აგენტს არანაირი პასუხისმგებლობა არ აქვს დამტკიცებული სესხის გადახდასთან დაკავშირებით. პასუხისმგებლობა აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელსაც დაუმტკიცდება და ისარგებლებს სესხით კრედო ბანკში.

საკუთარი საჭიროებისთვის შესაძლებელია თუ არა განაცხადის გაკეთება?

შესაძლებელია, მაგრამ დამატებითი შემოსავლის გამომუშავებისთვის სასურველია დაარეგისტრირდეთ სესხი სხვებისთვის. თქვენ შეგიძლიათ ულიმიტოდ გამოგზავნოთ სესხის განაცხადები თქვენი ოჯახის წევრებისთვის, ნათესავებისთვის, ახლობლებისთვის და სხვა თითოეულ დამტკიცებულ სესხზე კი მიიღოთ ბონუსი - 10 ლარი.

საკუთარი საჭიროებისთვის გაკეთებულ განაცხადზეც მერიცხება ბონუსი?

დიახ, თქვენ დაგერიცხებათ ბონუსი საკუთარი თავისთვის შევსებულ, დამტკიცებულ და გატანილ სესხებზე.

სავალდებულოა კრედიტ ბანკში ანგარიშის გახსნა გამომუშავებული ბონუსის ასაღებად?

დიახ, გამომუშავებული თანხის მისაღებად საჭიროა :

- გქონდეთ ანგარიში კრედიტ ბანკში (არ ქონის შემთხვევაში გახსნათ ანგარიში), რაზეც დაგერიცხებათ თანხა.
- ერთჯერადად მოაწეროთ ხელი ხელშეკრულებას ნებისმიერ კრედიტ ბანკის სერვისცენტრში

რა ვადაში შემიძლია ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა?

ხელშეკრულებაზე ხელმოწერა შეგიძლიათ თვის ბოლომდე.

(მაგალითად თუ გამოიმუშავეთ თანხა 14 იანვარს, საჭიროა, რომ ხელი მოაწეროთ ხელშეკრულებას 31 იანვრამდე)

თუ ვერ მოვახერხე ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად სერვისცენტრში ვიზიტი, უქმდება თუ არა ბონუსი?

დიახ, თუ ვერ მოახერხეთ თვის ბოლომდე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, ასეთ შემთხვევაში თქვენი გამომუშავებული ბონუსი უქმდება.

ხელშეკრულების გაფორმებით ვითვლება თუ არა კრედიტ ბანკის თანამშრომლად?

არა, ხელშეკრულების გაფორმებით თქვენ არ ითვლებით კრედიტ ბანკის თანამშრომლად.